განგებისა და ბედის კონცეფცია ილიას ლირიკასა და „განდეგილში“

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და პუბლიცისტიკას საფუძვლად უდევს ქრისტიანული მსოფლმხედველობა, რომელიც განსაზღვრავს მის ხასიათს. ამიტომ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია წმინდა ილია მართლის მემკვიდრეობის კვლევისას ქრისტიანული ესთეტიკის გაუთვალისწინებლობა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც გადაჭარბება შეიძლება. მხატვრული წარმოსახვები უფრო მეტად არათანმიმდევრულ ხასიათს ატარებენ, სოლო რელიგიური შეხედულებები ყოველთვის მოწესრიგებულია. ამიტომ რელიგიური და მხატვრულ-ესთეტიკური შეიძლება ერთმანეთს არც ემთხვეოდეს. ამის თქმის აუცილებლობა იმან განაპირობა, რომ მხატვრულ სახეთა სისტემაში ყოველთვის არაა საძიებელი რელიგიური სახე-იდეები. შინაგანად თავისუფალი მწერალი აზრის ესთეტიკას ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას. გონითი ჭვრეტა, აზრით ტკბობა, გრძნობით ამაღლება – აი, რა ქმნის ილიას თხზულებათა სიდიადეს. ერთი მათგანის გამოკლებაც კი მყისვე აფერმკრთალებს ყველაფერს. ჩვენი აზრით, ამ თვალსაწიერიდან უნდა შევხედოთ ზოგადად მწერლის, კერძოდ ილიას შემოქმედებას, თუ გვინდა ჭეშმარიტების შეცნობა. ამდენად, როდესაც ილიას მსოფლმხედველობაზე, მის ქრისტიანულ მრწამსზე ვმსჯელობთ, უპირველესად უნდა წარმოჩნდეს სამყაროს იერარქიულ წყობაზე მისი ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებები, სამყაროსი, რომლის ნაწილიცაა ადამიანი. სამყაროს ერთიანობისა და ღვთაებრიობის განცდა ამშვენიერებს და ამაღლებს ადამიანს, რომელიც მარადიულად მიისწრაფვის ზეარსისაკენ, რათა მიაღწიოს სულიერ და ზნეობრივ სისრულეს, განწმენდას. ილიას კი უპირველესად ადამიანი და სამშობლო აინტერესებს.

ვფიქრობთ, რომ ილიას ნააზრევისა და ჩანაფიქრის საწვდომად, მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად, საჭიროა

ერთი კონცეპტუალური საკითხის კვლევა: ესაა განგებისა და ბედის ქრისტიანული კონცეფციის გამოვლინების შესწავლის აუცილებლობა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე განხილვის საგანი არ ყოფილა. იგი შეინიშნება ილიას თითქმის ყველა მხატვრულ ნაწარმოებსა და პუბლიცისტურ წერილთა ნაწილში, მაგრამ უმეტესად არა ცნებათა სახელდებით. ამ თვალსაზრისით აუცილებელია უპირველესად მისი ლირიკული ნაწარმოებებისა („ყვარლის მთებს", „გუთნის-დედა", „ლოცვა", „ქართველის დედას", „მას აქეთ, რაკი", რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით", „ბედნიერი ერი" და სხვ.) და „განდეგილის" შესწავლა, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე მწერლის თანამედროვე და მომდევნო ხანის ლიტერატურათმცოდნეთა და ლიტერატურის ფილოსოფოსთა შორის კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ჩვენ შეეცდებით „განდეგილის" პერსონაჟის სახის წარმოჩენით განგებისა და ბედის რაობისა და მათი გამოვლენის განხილვას ლირიკულ ნაწარმოებთა პასაჟების დამოწმებით.

თავდაპირველად საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ თვით ცნებათა შესახებ საუბარი: საბა განგებას გარიგებად განმარტავს. განგების ცნებას იცნობს როგორც ქრისტიანული სამყარო, ასევე ანტიკური ფილოსოფია. ბიბლიურ თხზულებებში, კერძოდ ფსალმუნებში, სიბრძნე სოლომონისა, ისო ზირაქის ძის სიბრძნეში, ახალი აღთქმის წიგნებში მას ზოგჯერ ღვთის ნება, ანუ წინაადსწარგანზრახვა და წინაადსწარცნობა ენაცვლება. იგი პრონოეტული ტერმინია და ძირითადად აღნიშნავს ღმერთის ზრუნვას ადამიანთა სულებზე, ღმერთის წინასწარ გადაწყვეტილებას, ღმერთის ნებას. ძველი და ახალი აღთქმის სწავლებით, სიმართლე და განგებულება, იგივე ჭეშმარიტება და განგებულება ერთ სიბრტყეზეა დაყენებული, რაც იმას მიუთითებს, რომ განგება//განგებულება ღვთაებრივი ჭეშმარიტებაა, ღვთაებრივი სიმართლეა, რომელიც დაფარულია ადამიანის გონებისათვის და მის აღსრულებამდე დაფარულადვე რჩება. განგება მხოლოდ მისი აღსრულების შემდეგ განცხადდება ადამიანისათვის, რომელმაც იგი უნდა გამოიცნოს და

ჩასწვდეს მას. ქრისტიანული მოძღვრება ბედს უარყოფს, იგი მხოლოდ საწუთროულად მიაჩნია.

განგების არსისეული განმარტება მოცემულია უპირველეს ქრისტიანულ ლოცვაში „მამაო ჩვენო“: „იყავნ ნებაჲ შენი“. სწორედ ეს „ნებაჲ“ არის ღვთის განგება, რომლის გარეშე ვერ წარმოიდგინება ადამიანის ქმედება. პავლე მოციქულის სიტყვის თანახმად: „ჰყოფდით ნებასა ღმრთისასა გულითად“ (ეფეს. 6, 6). განგება თავისუფლებაა, ბედი – აუცილებლობა. განგება გონებრივ და გრძნობად არსში ბატონობს, ე. ი. ყოვლისმომცველია, ბედი კი მხოლოდ გრძნობადში. განგება ადამიანის ნება-სურვილს არ ეწინააღმდეგება, წინააღმდეგობის შემთხვევაში ადამიანის თავისუფლება, გონებრივ და გრძნობად საწყისში, ისპობა, რაც თვით განგების არსს უარყოფს. ბედი ისეთი აუცილებლობაა, რაც ხშირად ადამიანის ნება-სურვილს ეწინააღმდეგება, რადგან იგი საწუთროულია, ხოლო წუთისოფელი თავის წიაღში ამყოფებს ადამიანს და იგი ადამიანს ხშირად საღვთო სწავლებით არ ატარებს.

ღვთის განგებას ვერ სწვდებიან საღვთო სიბრძნეს მოკლებული ადამიანები; ღვთის სიბრძნის სიღრმე მიუწვდომელია მათთვის, ვინც ღვთის მადლსაა მოკლებული და რომელთა გონება ცვალებადია. ყოველ ადამიანს არა აქვს ღვთისაგან მინიჭებული მადლი, იგი ეძლევათ მხოლოდ საღვთო გზაზე, ჭეშმარიტ გზაზე მდგართ, რასაც ღვთის განგება//განგებულება უდევს საფუძვლად. განგებას სწვდება ის, ვინც ჭეშმარიტ სიბრძნეს, ღვთაებრივ სიბრძნეს ფლობს. ისინი, ვინც საღვთო სიბრძნეს ვერ სწვდებიან, გაუწვრთნელნი, განუსწავლელნი არიან; ვინც ჭეშმარიტ სიბრძნეს ვერ ჩასწვდება, „უსწავლელ და უმეცარ არს“, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, მათ „განუგებელად უწესიან“, რისთვისაც არსებითად და ღმერთისაგან მომდინარედ ბედს და თავისთავად არსებობას მიიჩნევენ: „ამის გამო რომელთამე ბედი და თავით თჳსით ყოფაჲ ყოვლისაჲვე გამოთქუეს. ჭეშმარიტად თავით თჳსით და შეცთომილად, ჭეშმარიტებისაგან მოიპოვნეს ზრახვანი“ (or.14.153).

ღვთის განგების საფუძვლად სიკეთის აღიარება და მისი სამართლიანობა, ბიბლიურ სწავლებათა კვალობაზე, ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა. ყოვლის შემოქმედი და დამბადებელი ღმერთი, ყოველთა არსთა მპყრობელი, რომელმაც ყოველი არსი არაარსისაგან მოიყვანა და შეაზავა იგი, განგებულებით წარმართავს ყოველივეს და ეს განგებულება ღვთაებრივი სამართლის გამოხატულებაა.

ის, რაც ქრისტიანული სამყაროსათვის არის უმნიშვნელოვანესი მისტიური მოვლენა, იესო ქრისტეს ჯამში მოქცევა, მისი ამსოფლური ცხოვრება, ღვთის განგებაა. განგება, ღვთის ნება არის ღმერთის წინასწარგანზრახვა, რომელიც უცნობია, დაფარულია ყველასთვის მის აღსრულებამდე. განგება ზენაგთგან მოვლენილია, კეთილმსახურებაც და გასაჭირიც ღმერთისგან მოდის, რის გამოც ღვთის გმობა დაუშვებელია. გასაჭირი ადამიანის სულის, სამშვინელისა და სხეულის საწრთობია, ამიტომ გასაჭირს გამკლავება უნდა.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი და წმ. იოანე დამასკელი განგებას ღმერთის წინასწარგანზრახულებად გამარტავენ, რომელიც ადამიანისათვის სასოების მიმნიჭებელია, სულის მხსნელია, ღმერთის კეთილი ნებაა, იგი დაფარულია, ადამიანი მის გამოცნობას და აღსრულებას ცდილობს. მისი შეცვლა შეუძლებელია, მისი აცილებაც შეუძლებელია. იგი კეთილი ზრუნვაა ადამიანის სულზე, წინასწარგანზრახვაა. განგება და ადამიანის სურვილი ერთმანეთს თანხვდება, ოღონდ მან ეს მის აღსრულებამდე არ იცის.

ღვთისმეტყველ წმიდა მამათა ნააზრევის მიხედვით, განგება ქრისტიანული ცნებაა და იგი ბედის ცნებას არ ემთხვევა. განგება უცვლელია. მაგრამ ცვალებადია ბედი, რომელიც თავისი არსით არსებითად განსხვავდება განგებისაგან.

ტრადიციულად გაგებული ბედი ბრმაა, უხანო, ცვალებადი, დაუდგრომელი. ბედს ადამიანი გონებით უნდა შეეგუოს, მიიღოს, და ირწმუნოს. იგი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ არა მოქმედების შედეგად, არამედ ზოგ რელიგიაში – ღმერთის მიერ, ზოგში – სხვა ზეციურ ძალთა-

გან. უძველეს მითოლოგიურ წარმოდგენებში ბედი ღმერთთანაა გათანაბრებული, ბედის შეცვლა ზოგჯერ თვით ღმერთსაც არ შეუძლია. ადამიანი მას მორჩილად უნდა დაემორჩილოს, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს. ბედი აუცილებლობაა, რომელიც ღმერთისაგან არ მოდის.

ილია ჭავჭავაძე თავის ლექსებში საკუთარ თავთან საუბარში ამჟღავნებს თავის კონცეფციას, მრწამსს, რომელიც მთელი მისი მემკვიდრეობისათვის არის საფუძველი, ქვაკუთხედი და რომელიც „ბედთან ბრძოლაში" გამოვლინდა. პოეტი ვერ ეგუება საკუთარი „თავის არაფრობას", რაც ტრაგედიის სათავედ ექცევა ნებისმიერ ადამიანს. „თავის არაფრობის" შეგრძნება იწვევს ადამიანში პესიმიზმს, ისაა სათავე ყოველგვარი ბოროტებისა. მის საპირისპიროდ, სიკეთე ღვთის ნებითაა მოვლენილი, რის გამოც სიკეთე გვევლინება ადამიანის გონებისა და ცხოვრების წარმმართველად. როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი შენიშნავს, „იგი ბედს იწვევს დუელში, რომელთანაც გამუდმებული ბრძოლა ჰქონდა გამართული და მარცხდებოდა". ამის დასტურად დავიმოწმებთ ერთ სტროფს ლექსიდან „ყვარლის მოებს":

რარიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ
ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ
წუთისოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან
მსხვერპლადა,
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!

ილიას სხვა ლექსებშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ბედთან ბრძოლის თემა თუ მოტივი, პოეტს ბედთან ბრძოლის შიში არ ეუფლება:

ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
(„ბევრი ვიტანჯე")

თუმცა უჩივის „ბედი მღიმარის" წასვლასა და ბედის ვარსკვლავის გაქრობას.

ილია ბედს მიაწერს სამშობლოს დატყვევებულ მდგომარეობაში ყოფნას, რის გამოც თავის კალამს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას უსახავს მიზნად:

მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული. ....

მწერალი წინასწარ გრძნობს, რომ ღმერთი მისი სამშობლოს მხარესაა, ოღონდ თვით ერმა უნდა მოინდომოს მისი ხსნა. ეს ღვთის განგებითაა განსაზღვრული, ვინაიდან ილიას მსოფლმხედველობას საფუძვლად მომავლის რწმენა უდევს, რაც ღვთის რწმენისა და სასოების შედეგად მოდის. ამიტომაა, რომ ილიას შემოქმედებაში განგების, ვითარცა ღვთის ნების გამოხატულების, და ბედის, ვითარცა აუცილებლობის, დაპირისპირება თვალსათლივ წარმოჩნდება.

განგებისა და ბედის დაპირისპირება, ღვთისნებითობისა და აუცილებლობის პრობლემა ყველაზე მკვეთრად თავს იჩენს პოემაში „განდეგილი", რომელშიც ბერის სიტყვებში იკვეთება, რომ, – მიუხედავად ცხოვრებისაგან განდგომისა, წუთისოფლური ინტერესების გარეშე ცხოვრებისა, – მასში მაინც ძალუმად ყოფილა დამკვიდრებული ცხოვრებაზე ოცნება, რასაც საკუთარ თავსაც არასოდეს უმხელდა. მწყემსი ქალის გამოჩენამ შეაგრძნობინა მას, მისივე სიტყვით, თავისი „უბედურება", რაც წუთისოფლისეული პრობლემებით გატაცებული ადამიანის ცნობიერებიდან მომდინარეობს და რაც ლექსიკითაც გამოხატა. მის სიტყვებში მისდა უნებურად ერთმანეთს დაუპირისპირდა „ნება ღვთისა", იგივე განგება *(„ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა")*, და ბედი თუ უბედობა *(„გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა...")*, რამაც ილიას მსოფლმხედველობაში განგებისა და ბედის კონცეფციის არა მხოლოდ არსებობა დაადასტურა, არამედ იგი მისი ქრისტიანული მრწამსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორად გვაგულვებინა. ამიტომ კვლავ და კვლავ დაისმის კითხვები: ილიას მიერ წარმოდგენილი ბერი იყო კი იმ სასწაულის ღირსი, რომელიც მას ღმერთმა მოუვლინა? შეძლო მან იმ „მთას ასვლა", რომელიც ყოველი ადამიანის სანუკვარი ოცნებაა? როგორ შეიძლება ერის არსებობის საზრისის მოპოვება და მის განხორციელებაზე ზრუნვა, თუ მხოლოდ ბედს მივენდობით, ანუ წუთისოფლის ინტერესებს მივანიჭებთ უპირატესობას? რა არის ღვთის ნება, ერისა და

კაცობრიობის კვდომა თუ მათს არსებობასა და განვითარება'ზე დაუცხრომელი ფიქრი და მათთვის მუხლჩაუხრელი შრომა? არის თუ არა „გზა ხსნისა" წუთისოფლის იმგვარად მოძაგება და ოდენ საკუთარ ფიქრებსა და ზრახვებში ჩაძირვა, როგორც ეს განდეგილ ბერს დაემართა? ყოველი ეს კითხვა პასუხს მოითხოვს, რომელიც ბერის ცხოვრების რაობასა და არსს წარმოგვიჩენს.

პოემის უპირველესი პრობლემა რომ ბერის შინაგანი, სულიერი სამყაროს წარმოჩენაა, ადასტურებს ის ფაქტი, რომ პოემა სწორედ მისი სახის ჩვენებით იწყება და ილია ჭავჭავაძე სწორედ მას აკისრებს წარმმართველ ფუნქციას. ბერი წლების განმავლობა'ში წმინდანური ცხოვრებით ცხოვრობდა ბეთლემის გამოქვაბულ'ში, რასაც მისი დახასიათება მოწმობს. მან წმინდანივით გაატარა თავისი ცხოვრება, რის გამოც ღმერთმა მას მოუვლინა სასწაული, რომლის გონებით წვდომა შეუძლებელია, იგი რწმენით უნდა მიიღოს ადამიანმა. მის ცხოვრება'ში მოსალოდნელ განსაცდელს წინასწარმეტყველურად მიანიშნებს ბუნების მრისხანება. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, ბერის თვალი მატერიალურმა სახილველმა გაიტაცა, ე. ი. იგი ხორციელ თვალს დაემონა.

ილიას „განდეგილი" მრავალგანზომილებიანი პოემაა, რომელიც სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს წაკითხული სხვადასხვა ეპოქა'ში. ყოველი მკვლევარი, ვინც კი შეხებია მის ლიტერატურ'ულ-ესთეტიკურ რაობას და უცდია მისი ახსნა, სვამს კითხვას, რატომ დამარცხდა ბერი, რა იყო მისი მარცხის მიზეზი. ცხადია, ყველას აქვს თავისი პასუხი, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს: 1. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ პოემაში ასახულია ასკეტიზმის კრიტიკა და ბერის ამქვეყნიური ცხოვრებიდან განდგომა ასკეტური ცხოვრების მარცხად მიაჩნიათ; 2. მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ბერმა რწმენას უღალატა და ამიტომ დამარცხდა; 3. მესამე მოსაზრებით, ბერს ნებისყოფა, მოთმინება არ ეყო, მან მაშინვე მოინდომა ღვთის სასწაულის კვლავ ხილვა და როცა ღმერთმა მას იგი არ მოუვლინა, სასოწარკვეთილება'ში ჩავარდა და გარდაიცვალა; 4. მეოთხე თვალსაზრისი ისაა, რომ ბერმა გამოცდას

ვერ გაუძლო, ცდუნების შედეგად მარცხი განიცადა. ყოველივე ეს შედეგია, განსაკუთრებით – სასოწარკვეთილებაა შედეგი. მაგრამ რამ მიიყვანა ბერი სასოწარკვეთილებამდე?

ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ მსჯელობა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნების ნაწარმოების უპირველესი დანიშნულება ადამიანის ზნეობრივი და სულიერი ამაღლებისათვის ზრუნვაა. როგორი საწყაოთი მიუწყავს ილია თავის ლიტერატურულ გმირებს, ადამიანებს, რა არის მათი ადამიანობის, ზნეობის ძირითადი საზომი? პასუხი ასეთია: „ვით მამა ზეცის, იყავ შენ სრული". ამრიგად, ძირითადი საზომი ზნესრულობაა, სულიერი სისავსეა, ღმერთს მიმსგავსებაა. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ადამიანის განღმრთობის ორი საფეხური არსებობს: ინდივიდუალური და საზოგადო, ანუ საკაცობრიო. ყოველი ადამიანი, ღვთის სახედ და ხატად ქმნილი, მოვალეა, არა მხოლოდ საკუთარი, ე. ი. ინდივიდუალური განღმრთობის გზა ეძიოს, არამედ კაცობრიობისაც, ვინაიდან კაცობრიობა ინდივიდებისაგან შედგება და თითოეულის ზრუნვა აძლიერებს კაცობრიობას განღმრთობისათვის ბრძოლაში. ინდივიდმა უნდა შეძლოს კაცობრიობის სამსახური. ილიას განდეგილი ბერი საკუთარ თავშია ჩაძირული, იგი მხოლოდ საკუთარი თავის განღმრთობაზე ზრუნავს, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ განსაცდელისას იგი ქვეყნის ხსნას ევედრება ღმერთს. ცნობილია, რომ ღვთის მიერ შექმნილი ადამიანი ცოდვითდაცემის შემდეგ მარადიულად მიისწრაფვის „სამოსელი პირველის", პირველსახის, პირველხატის დაბრუნებისაკენ, რისთვისაც ყოველი ადამიანი ღვთისაგანვე ნაბოძები თავისუფალი არჩევანის მეშვეობით თავის გზას თავად ირჩევს, ე. ი. თავის ჯვარს ეზიდება. ვფიქრობთ, რომ „განდეგილში" ბერის ცხოვრების წესსა და მსვლელობაში იგრძნობა სწრაფვა პირველყოფილი, ცოდვადაცემამდელი ჰარმონიისაკენ, ღვთის მიერ შექმნილი ადამიანისა და გარესამყაროს ურთიერთობათა მოწესრიგება-მორიგებისაკენ, სულისა და სხეულის ჰარმონიის მისაღწევად. სწორედ ამის შეგნებაა ბერის ნეტარების საფუძველი, შემდეგ კი მისი სწრაფვა ფერხდება, წყდება, დისჰარმონია

მკვიდრდება მის არსებაში, შეუთავსებლობა სასურველსა და რეალურს შორის ბერის ტრაგედიის სათავე ხდება. ბერი განდეგილური ცხოვრებით მიისწრაფვოდა სულიერი სრულყოფისაკენ, ხნეობრივი განწმენდისა და ამაღლებისაკენ, დაკარგულ სულიერ ფასეულობათა დაბრუნებისა და მოპოვებისაკენ, ანუ, ჰიმნოგრაფთა სიტყვით, „ედემის უკუმოღებისაკენ". ყოველივე ამის სათავე იყო რწმენა, რისთვისაც ღმერთმა იგი სასწაულით დააჯილდოვა... მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა, იგი დამარცხდა წუთისოფელთან ჭიდილში.

მწყემსი ქალი წუთისოფლის ალეგორია და სიმბოლური სახე რომ არის, ეს არაერთგზის აღუნიშნავთ ილიას პოემის მკვლევარებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქალი მწყემსად შემთხვევით არ არის წარმოდგენილი. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ძირითადად მაცდურადაა გააზრებული, მისი გარეგნული სილამაზე ვნების აღმძვრელად და ცოდვის სათავედ არის მიჩნეული. საქმე ისაა, რომ მწყემსი ქალი, ბუნების ლაღი შვილი, გარეგნულად სწორედ ასეთი ლამაზი, წარმტაცი, მშვენიერი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი ქალი ელენე, რომლის გამოც ატყდა ტროას ომი. სწორედ ესაა, როგორც ილიამ შოთა რუსთველის პოემის პერსონაჟებთან დაკავშირებით ბრძანა, გენიალური „კალმის მოსმით" გამოთქმული დიადი აზრი. როდესაც ჰომეროსმა ტროელ მოხუცთა კრებაზე გაიყვანა ელენე, ყველამ ერთხმად აღიარა მისი მშვენიერება და ტროას ომიც სამართლიანად მიიჩნია.

მწყემსი ქალის გამოჩენისთანავე ცხადდება პოემის მიზანდასახულობა: *„მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა, მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!"* ბერმა სწორედ ამ „საცდელს", ანუ გამოცდას ვერ გაუძლო. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ბედი და ღვთის ნება, იგივე განგება, თითქოს ერთმანეთს არ უპირისპირდებიან და განგება ბედს განსაზღვრავს; ილიას სიტყვების მიხედვით, ბედმა, ე.ი. წუთისოფელმა მოიწადინა ბერის გამოცდა, რაც ღვთის ნებით ხდება. ბედი და განგება იგივეობრივი არ არის, როგორც შოთა რუსთველი ამბობს, *„ბედი ცდაა, გამარჯვება,*

ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების", ე. ი. ბედის ცდა სიკეთით დასრულდება, თუ ღვთის ნება იქნება. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული მოძღვრებისა და წინარე ლიტერატურულ ტრადიციათა კვალობაზე, ბედი და განგება „განდეგილშიც" განსხვავებულია. ევანგელურ სწავლებაში, რომელსაც ილია ეყრდნობა, ბედი არსად ჩანს, იქ მხოლოდ ღვთის ნებაა.

მწყემსი ქალი საშველად, თავის გადარჩენის მიზნით მიმართავს და უხმობს ბერს, რომელმაც იგი იხსნა დაღუპვისაგან, მაგრამ თვითონ დაიღუპა. სიკეთის სანაცვლოდ ბერმა ღვთის წყრომა დაიმსახურა. რატომ? ხომ არ გადაუხვია ბერმა თავის არჩეულ გზას ასკეტობისა? თუ გადაუხვია, როდის? იქნებ, მაშინ, როდესაც ბუნებას გასცქეროდა და მისი მშვენიერებით ტკბებოდა, ან მაშინ, როდესაც ყოყმანი დაიწყო, ეშველა თუ არა განსაცდელში ჩავარდნილისათვის და როდესაც მწყემსი ქალი, ვითარცა ღვთისაგან გაჩენილი არსება შეიფარა? ყოყმანიც ხომ ცოდვაა, განა ღვთისმმოსავობას, ან კაცთმოყვარეობას ადასტურებს ბერის ფიქრი გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის შველის თაობაზე? ვინ იცის, რა მოელოდა მწყემს ქალს, ის რომ ბერს არ შეეფარებინა და გარეთ დაეტოვებინა? განა ცოდვას არ ჩაიდენდა, თუ მოყვასს ხელს არ გაუწვდიდა? აი კითხვები, რომლებიც უთუოდ აღიძვრის ბერის სულიერი სამყაროსა და მისი ქცევის განსჯისას. როგორი სხვაობაა განდეგილ ბერსა და აკაკი წერეთლის „გამზრდელის" მთავარი პერსონაჟს ბათუს საქციელს შორის! ბათუ კარზე სტუმრის კაკუნის გაგონებისთანავე კერიასთან მიდის, ცეცხლს შეუკეთებს და მერელა აღებს კარს, რითაც ავტორი თავისი გმირის სტუმართმოყვარეობას, ზოგადად კაცთმოყვარეობას წარმოაჩენს, იგი ზრუნავს თავის სტუმარზე, ღვთისაგან მოგზავნილ ადამის მოდგმის სულიერ არსებაზე. განდეგილი კი, ბერი, სასულიერო პირი, ყოყმანობს, ფიქრის შემდეგ ასწავლის ასასველელს თავსხმა წვიმაში, ქარიშხალში მოხვედრილ ადამიანს.

ბერის ილიასეულ დახასიათებაში გამოყენებულია შედარების მხატვრული ხერხი, რომლითაც ავტორი გვამ-

ცნობს, რომ ყველაფერი შედარებითია: „ვით წმინდანს“... „თითქო“ – ორჯერ მეორდება, „ჰგვანდა“... ეს სიტყვები მიუწმობს, რომ ბერის რეალურ შინაგან სამყაროსა და გარეგნულ სახეს შორის სხვაობა უნდა იყოს. ბერს უნდა ახსოვდეს, რომ მან ყოველთვის უნდა დაიცვას შვიდნი მოწყალებათა საქმენი ხორციელნი და სულიერნი: ჭმევა მშიერთა, სმევა მწყურვალთა, შემოსვა ‘ი’შველთა, <u>შეწყნარება უცხოთა</u>, მოკითხვა სნეულთა, მიხედვა პატიმართა, დაფლვა მიცვალებულთა; მოქცევა ცოდვილთა, <u>სწავლება უმეცართა</u>, განმართვა დაბრკოლებულთა, ნუგე’შინისცემა მწუხარეთა, მოთმინებით ატანა უსამართლობისა, მიტევება თანანადებთა, ღმერთთან ვედრება მოყვასთა საცხოვნებლად. ბერი არღვევს როგორც ხორციელ, ასევე სულიერ მოწყალებათა გაცემის პრინციპს, რომლითაც ყოველი ქრისტიანი უნდა ხელმძღვანელობდეს, მით უმეტეს, ბერს მათი ‘ხედმიწევნით დაცვა მოეთხოვება.

გარდა ამისა, საღვთისმეტყველო სწავლებით, არსებობს შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა, რომელთაც შვიდი სათნოება უპირისპირდება: ამპარტავნება – სიმდაბლე, ანგარება – მოწყალება, <u>სიძვა – უმანკოება</u>, მრისხანება – სიმშვიდე, ნაყროვანება – მარხულობა, <u>შური – სიყვარული</u>, <u>მიმოწყლილველობა – სასოება</u>. ილიას პოემის პერსონაჟი ამათაც არღვევს.

ბერი ღვთისაგან მიცემულ ათ მცნებასაც არღვევს, კერძოდ, მეორეს, მე’შვიდეს, მეათეს. „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა ‘შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე და რაოდენი არს წყალთა შინა ქვე’შე ქვეყნისა; არა თაყუანისსცე მათ, არცა მსახურებდე მათ“ (II მცნება); „არა იმრუშო“ (მე’შვიდე მცნება); „არა გული გითქუმიდეს ცოლისა მოყვასისა შენისა“.. (მეათე მცნება). მოუნანიებლად არც ერთი მცნებისა თუ მოწყალებათა საქმეთა დარღვევა არ მიეტევება ადამიანს, მით უფრო ბერს. მცნებები და მოწყალებანი ხომ ბერის ცხოვრებას უნდა წარმართავდეს. იგი ხომ ღვთის სახლის ბინადარია! მაგრამ ილია პოემის დასაწყისშივე გვამცნობს, რომ ბერის *„სული სულ სხვა მსოფლიოს ‘შეჰხიზნებოდა“*, ე. ი. ბერი ხიზანია, ხოლო ხიზნობა

დროებითი მოვლენაა, მარადიული არ არის, რაც იმას მიუთითებს, რომ ბერი ბეთლემის გამოქვაბულიდან უნდა გავიდეს. გასასვლელი გზა ორია: ღვთის სასუფევლისაკენ ან ჯოჯოხეთისაკენ. ბერის უცოდველი ცხოვრება მწყემსი ქალის გამოჩენამ მთლიანად შეცვალა, მისი წმინდანის მსგავსი ცხოვრება საღვთო გზას ასცდა; მართალია, მან ხორციელი მოწყალება გაიღო და ყოყმანის შემდეგ უცხო, ამ შემთხვევაში მწყემსი ქალი შეიფარა, რასაც კარნახობდა მას შვიდ ხორციელ მოწყალებათაგან ერთ-ერთი, მაგრამ სულიერი მოწყალება ვერ გაიღო, მას ევალებოდა სწავლება უმეცართა, ანუ მწყემსი ქალისთვის მას ღვთის მცნებები უნდა ესწავლებინა, უნდა დაემტკიცებინა, რომ ყოველ ადამიანს თავისი გზა აქვს, ღმერთი ყოველ ადამიანს არჩევანს აძლევს: ან საერო ცხოვრება, ან სასულიერო. ღმერთი არც ერთს არ უარყოფს, პირიქით, მათ შეზავებას სთავაზობს, რის დასტურადაც შეიძლება დავიმოწმოთ გიორგი მერჩულის სიტყვები, რომლებიც გაბრიელ დაფანჩულს ათქმევინა: „ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი, თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, ესე შევზავნეთ ურთიერთას“. მწყემსი ქალი, ახალგაზრდა, ლამაზი, ხორციელი ცხოვრებისაკენ მიისწრაფვის, ხორციელი მშვენიერება იზიდავს, ამიტომაც გულუბრყვილოდ, გულწრფელად წარუდგენს ამქვეყნიურ ცხოვრებას წარმტაც ფერებში ბერს, მას არ შეუძლია ბერის ინტერესებისა და ზრახვების შეცნობა და გაგება. არ ესმის, თუ რისთვისაა საჭირო ადამიანის განდგომა ამქვეყნიური ცხოვრებიდან და ბერად აღკვეცა. მიუხედავად ამისა, იგი რწმენას არ უარყოფს, ბერს მადლობას უხდის გადარჩენისთვის. მისი საუბარიც ღმერთის მიერ სამყაროს მოწყობის შესახებ მის მორწმუნეობას ადასტურებს, მოსწონს კიდეც სამყაროს დაწყობილობა და ამიტომაც გულწრფელად გამოთქვამს გაკვირვებას ადამიანის მისგან განდგომის გამო.

ბერი სულიერ ცხოვრებას მისდევს, საღვთო ცნებათა აღსრულებას ლამობს, ფიქრობს, რომ მან უკვე მოიპოვა სულიერი სიმშვიდე, სათნოება, სასოება ღვთისა, მაგრამ ყოველივე ეს მოჩვენებითი აღმოჩნდა. მისი სულიერი მრწამსი შეარყია მწყემსი ქალის არგუმენტებმა, არამცთუ

წინააღმდეგობა გაუწია მას, არამედ თავადვე შეერყა რწმენა, სიტყვა ვერ მოძებნა, სიტყვა – ყოვლის მძლე და სათავე სულიერებისა. ბერს ენა დაება მწყემსი ქალის ხორციელი ცხოვრების უპირატესობის დამამტკიცებელი არგუმენტების წინაშე, ალუღლუღდა და თავისი არჩევანი სულიერებისაკენ მიმავალი გზისა უბედურებად მიიჩნია. ცხადია, მან ეს გაუცნობიერებლად წარმოთქვა, მაგრამ ის სიტყვა ამოთქვა, რომელიც, როგორც ჩანს, ქვეცნობიერში ჰქონდა დაშრევებული. ყოველივე ეს კი იმას მიუთითებს, რომ მის არსებაში ეჭვი და შიში თავისი არჩევანის სისწორისა იმთავითვე იყო დასადგურებული. ბერმა ყოყმანის შემდეგ ჩაიდინა სიკეთე, მას აჰყავს სტუმარი შემდეგი სიტყვებით: „იყავნ ნება ღვთის!“, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ღვთის ნებას ასრულებს, ე. ი. ღვთის ნების გამტარია, ღმერთის წადილს დაჰყვება. ქალს უთხრა კიდეც, *„მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას“*, ეს ღვთის ნება იყო. ცხადია, ყოყმანის შემდეგ ჩადენილ სიკეთეს პირველქმნილი სიკეთის მადლი არა აქვს, მას უნდა მიეღო კარს მიმდგარი უცხო სტუმარი და ელოცა მისი გადარჩენისათვის.

ბერის სენაკში ქალის გამოჩენა ბერის სულიერ განსაცდელად არის აღქმული, რადგან *„აწ ბედმა ქალის სახითა განსაცდელი რამ მას მოუვლინა!“* – ბედი აქ წუთისოფელია, ბედმა განსცადა ბერი და არა ღმერთმა! ბერმა ვერ შეინარჩუნა თავისი სიწმინდე, ვერ შეძლო ღვთის ნების კვალზე სვლა და ტრაგიკულ აღსასრულამდე მივიდა. იგი გათენებას და ღვთის განაჩენს, ღვთის ნების გამოვლინებას ელოდება, რაც საკუთარი საქციელის გამო შიშის დაუფლებით გამოწვეული ეჭვის საფუძველია. ეჭვი და შიში გაუმართლდა, იგი დამარცხდა, მზის სხივმა ლოცვანის წიგნი არ დაიჭირა, ანუ ღვთაებრივი მადლი დაისრიტა, რამაც საბოლოოდ მწირი ბერის სიკვდილი გამოიწვია. დაცარიელდა ტაძარი – ესაა ილიას სატკივარი, ამიტომაა ილიას ეს პოემა წინასწარმეტყველური; მწერალმა სულიერებისაგან დაცლილი, მატერიალურს გადევნებული ერის სატკივარი აჩვენა. უმოძღვროდ დარჩა ერიცა და კაცობრიობაც. ამიტომაც ილიას ბოლო მხატვრულ ნაწარმო-

ებში „ოთარაანთ ქვრივი“ მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება სულიერი მამა – მღვდელი, რომელმაც მომაკვდავი გიორგი აზიარა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მოძღვარი აღარ ჰყავს ერს და კაცობრიობას! ესაა ქართველი ერისა და ზოგადად კაცობრიობის ტრაგედია!

„განდეგილი“ ილიას შემოქმედების გვირგვინია, რომლის შექმნას წინ მთელი მისი შემოქმედება, მთელი მისი მხატვრული მემკვიდრეობა უძღოდა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან პოემა ფაქტობრივად ადამიანის სულის, სულიერ ღირებულებათა გადარჩენისათვის ბრძოლას წარმოაჩენს. იგი ქართველი ერის ტრაგედიას ასახავს, თვით ილიას ტრაგიკულ განცდათა ძალუმ ანარეკლად გვევლინება, რადგან ბერის სიკვდილის შედეგად ღვთის სახლი – ბეთლემის ტაძარი ცარიელდება, რაც ღმერთთან დაცილების შედეგია, უღვთისმშობლობაა, სწორედ ამას მიიჩნევს ილია ერის ტრაგედიად, კაცობრიობის ტრაგედიად. ამას ჩიოდა იგი თავის ერთ-ერთ ლექსშიც:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ საკალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!

(„მას აქეთ, რაკი“)

წმინდა ილია მართალს ღმერთმა უდიდესი მისია დააკისრა: მას უნდა ემცნო თავის თანამემამულეთათვის მათი უბედურების სათავე, ის მიზეზები, რამაც ქართველ ერს სულიერი გადაგვარების საფრთხე შეუქმნა. ამას სამანი უნდა დადებოდა, რისთვისაც პიროვნების შინაგანი თავისუფლების მოპოვება იყო აუცილებელი. პიროვნება უნდა გამხდარიყო მაღალზნეობრივი, ღირსების მქონე, ანუ ზნესრული, სულიერების მოპოვება უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრებისა და ქმედების მიზანი, სიტყვა და საქმე არ უნდა დასცილებოდა ერთმანეთს (შდრ: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“ – სულხან-საბა ორბელიანი).

Н. СУЛАВА

КОНЦЕПЦИЯ ПРОВИДЕНИЯ И СУДЬБЫ В ТВОРЧЕСТВЕ ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ

До настоящего времени христианская концепция Провидения и Судьбы в творчестве Ильи Чавчавадзе не становилась предметом научного исследования. И хотя на лексическом уровне понятия эти, чаще всего, не называются, тем не менее, сама концепция четко прослеживается почти во всех произведениях писателя и части его публицистических статей. В этой связи мы рассмотрели, в первую очередь, его лирические произведения («Горам Кварели», «Пахарь», «Молитва» и др.) и поэму «Отшельник», которая сразу же по опубликовании и в последующем вызвала большие споры и разногласия в среде литературоведов и философов.

Противопоставление Провидения Судьбе, проблема Божественного волеизъявления и необходимости ярче всего проявляется в поэме «Отшельник», в которой из слов схимника выясняется, что, – несмотря на отшельничество и отрешение от земных интересов (изгнание из сердца «*мирских мыслей*», «*побуждений и желаний*»), в душе «*праведника*», «*презревшего житейские мечты*», отрешившегося от «*греховного мира*», все же живет глубоко укоренившаяся мечта о полноте жизни, о «*счастьи земном*», в чем он никогда не признавался даже самому себе. Появление пастушки, по его же словам, дало почувствовать отшельнику собственное «*несчастье*», и это является порождением сознания, поглощенного земными проблемами, что выражено даже на лексическом уровне. Невольно в его словах «Воля Божия», то же, что и Провидение (*«десница всеблагая»,* Бог, который *«наставил на путь»*), противопоставляется несчастью, т.е. Судьбе (*«Только путь к спасению // Достался мне, **несчастному**, в скиту»)* – пер. Н. Заболоцкого.

Исполнением Божьей воли в поэме признается борьба за человеческую душу, духовные ценности. «Отшельник» выражает трагедию грузинского народа, представляется мощным отражением трагических переживаний самого Ильи Чавчавадзе, пос-

кольку в результате смерти отшельника, как следствия отдаления человека от Бога, пустеет и Божий дом – «Вифлеемский скит». Именно это и считает поэт трагедией нации, трагедией всего человечества. Это – результат жизни вне Провидения, жизни наперекор Божьей воле. Поэтому необходимостью является обретение личностью внутренней свободы. Личность должна стать высоконравственной, нравственно полноценной, как об этом говорилось в одном из его ранних стихотворений: «*Будь совершенным, как Отец Небесный*».

N. SULAVA

THE CONCEPTION OF GANGEBA (THE KIND WILL OF THE GOD) AND FORTUNE IN ILIA CHACHAVADZE'S WRITINGS

Many articles were written about Ilia Chavchavadze's philosopy of life . There is one important thing to be mantioned in Ilia's writings. It is the christian conception of Gangeba (the kind will of the God) and fortune. In Ilia's writing they are not mantioned as a words. We are talking about his poetry and poem "Gandegili" (Hermit).

In poem "Gandegili" (hermit) there is a struggle with the God's will and fortune. The hermit in spite of being alone in cave admitted that he was always full of thinking about life. Appearance of the woman was the reason of saying that he was "poor". In his words hermit said that he had always had the struggle with the will of the God and fortune.

In poem the main problem is how to rescue the soul of human. The poem shows us the tragedy of Georgian nation. After death of the hermit the cave is empty. This is the tragedy of nation and of world.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. განგების არსის შესახებ იხ.: ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 187-198; ნ.სულავა, განგების რუსთველური კონცეფცია, წიგნში: შოთა რუსთველი, I, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2000, გვ. 208-230; ბედის შესახებ იხ. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, თბ., 2005, გვ. 255-373.
2. ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, თბ., 1965, გვ. 353.